საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქი ფოთი

№ **04/526**

01 / აპრილი / 2020 წ.

KA000017747871920

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისათვის (სამსახურები) დავალების მიცემის შესახებ

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით, მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 21 მარტის N5864-სს დადგენილება, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანება.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად და „ახალი კორონავირუსის (COVID19) შესაძლო პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის № 529 განკარგულების (განკარგულებაში შესული ცვლილებების), ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 განკარგულების (განკარგულებაში შესული ცვლილებების) ,,საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ " საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების, საქართველოში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების, სსიპ "ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა დაა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" 2020 წლის 18 მარტის N06/861 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს (სამსახურები) დაევალოთ:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს დაევალოთ: ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრისა“ და ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ დახმარების გაწევა, საჭირო ინფორმაციის მიწოდება. თვითიზოლაციაში მყოფი პირების მონიტორინგი, მათზე ინფორმაციის შეგროვება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის მიწოდება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან აქტიური კომუნიკაცია.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურს დაევალოთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე:

ა) სატრანსპორტო მიმოსვლის ზედამხედველობა და კონტროლი.

ბ) შეჩერებული და შეზღუდული ეკონომიკური საქმიანობის (რესტორნების, კვების ობიექტების, საბითუმო და საცალო ობიექტების, საწარმოების და სხვ) მონიტორინგი და ზედამხედველობა.

3.ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს დაევალოთ თვითიზოლაციაში მყოფი პირების ყოველდღიური მონიტორინგი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით და ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ეპიდემიოლოგებისათვის, ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრისა“ და ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის“ დახმარების გაწევა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საჯარო სივრცეში საჯარო შეკრებების, თავშეყრისა და სხვა სოციალური ღონისძიებების, რომელიც დაკავშირებულია 10-ზე მეტი ფიზიკური პირის შეკრებასთან (მაგ: ქელეხი, ქორწილი და სხვა მსგავსი ღონისძიებები) მონიტორინგი და კონტროლი, აგრეთვე ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისათვის.

მუხლი 2. დაევალოთ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს (გარდა ბრძანების პირველ მუხლში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისა) დახმარება გაუწიონ ზემოაღნიშნულ სამსახურებს, საჭიროებისამებრ.

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულმა ერთეულებმა დაიცვან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით, გამოცემული სამართლებრივი აქტები და რეკომენდაციები.

მუხლი 4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, საკურატორო სფეროს შესაბამისად.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქ. N 3).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია